ფოთში თანამედროვე ტიპის ცოცხალი თევზის ბაზარი გაიხსნა

გვ. 2

ფოთში მრავალსართულიან კორპუსებში შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია იწყება

გვ. 2

მთავარი თემა სამეგრელოში

ფასი 50 თეთრი №10 27 თებერვალი - 6 მარტი 2016 წელი გამოდის სამშაბათობით

ქალბატონებო გილოცავთ 3 და 8 მარტს!

ირაკლი კაკულია: ,,მალთაყვის სანაპირო ზოლი- ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია...,, გვ. 3

არჩილ მელიქია: ,,ჩვენც გვინდა მოწესრიგებული ბაზარი...,, გარემოვაჭრეები ბაზარში მიმდინარე პროცესებით უკმაყოფილოები არიან... გვ. 3

ფოთელებს მყრალი თევზის სუნი ისევ აწუხებს, ქარხნის მეპატრონეები კი ხელს ერთმანეთისკენ იშვერენ გვ. 4

ნადირობის შესახებ კანონის განხილვა ფოთში ხმაურით წარიმართა... ფოთელი მონადირეები: ,,ვინ ხართ თქვენ, საიდან მოხვედით, დაგვახრჩვეთ ბარემ...,, გვ. 5

,,ძიუდოს,, პირველობაზე ფოთელმა ელიზბარ თურქიამ ევროპის საგზური მოიპოვა გვ. 7

ჭანტურიას ქუჩაზე ახალი ,,ფეკალური ტბა,, გაჩნდა

ივეტა პაჭკორია
ფოთი

რედაქციაში ჭანტურიას ქუჩის №9 საცხოვრებელი სახლის მაცხოვრებლები დაგვიკავშირდნენ და დახმარება გვთხოვეს. აღნიშნულ სახლში რამდენიმე თვის წინ, კონკრეტულად, არჩევნებამდე შიდა საკანალიზაციო მილები გამოცვალეს და სარდაფიც მოხრეშეს. სარდაფის შესასვლელებში გისოსები დააყენეს.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსახლეობამ როცა იფიქრა, ამოვისუნთქეთ და კანალიზაციის სუნი არ დაგვახრჩობსო, პრობლემამ სწორედ მაშინ იჩინა თავი. აღნიშნულ სახლში სამუშაობამდე არსებულმა პრობლემამ ამჯერად ეზოში გადაინაცვლა. წვიმის დროს საკანალიზაციო ჭიდან ფეკალური მასა გარეთ გადმოდის, ტბა იქმნება და უკანა ეზოში გავლა შეუძლებელი ხდება. ამას ემატება უსიამოვნო სუნიც. უკვე გამოზაფხულდა, დათბა და მოსახლეობა შიშობს, რომ ამ მდგომარეობამ (თუ არ გამოსწორდა) შესაძლოა ეპიდემია გამოიწვიოს.

ჩვენ დავუკავშირდით მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს ზური ჯამბურიას, როგორც მან გვითხრა, მოსახლეობიდან ზარის შემოსვლისთანავე ხდება რეაგირება პრობლემის მოსაგვა-

დასასრული 2 გვ.

საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მფლობელი - ელიზბარ თურქია

გვ. 7

სამეგრელოს რეგიონის ჩემპიონატი ჭადრაკში

გვ. 7

წარმატებულ სპორტსმენებს ფოთის ხელისუფლებამ შეხვედრა მოუწყო

გვ. 7

გამომცემელი და დირექტორი,
მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია -
599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

რედაქტორი
ივეტა პაჭკორია -
597 97 76 18

კორექტორი:
მაია ჩხეიძე
551 522 429-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია -
579 24 11 22

ქეთი ჩებანი
(ფოთი)
598 40 10 23

ივეტა პაჭკორია
(ხობი)
568 61 04 41
გამოქვეყნებული

მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.
გამოქვეყნებული

მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ერთი ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.5311 ლარი გახდა. ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა. ხვალიდან, ერთი დოლარის ოფიციალური

ფასი 2.5311 ლარი გახდება. კურსი, რომელიც დღეს მოქმედებდა, 2.5078 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0233 ლარი შეადგინა.
ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა. კერძოდ, ხვალიდან ერთი ევროს შეძენა 2.6825 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა დღეს მოქმედი კურსი 2.6670 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0155 ლარი შეადგინა.

ჭანტურიას ქუჩაზე ახალი „ფეკალური ტბა„ გაჩნდა

დასაწყისი პირველ გვერდზე

რებლად: „ჩვენთან როგორც კი დარეკავენ, სპს „მობინადრეს“ წარმომადგენლები და ალფიკა მეტაქსა მაშინვე გადიან და აწესრიგებენ“. ხსენებულ ქუჩაზე „მობინადრე“ არა, მაგრამ ჩვენი მისვლისთანავე ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომელი მოვიდა. მოსახლეობაც მაშინვე შეიკრიბა და წარმომადგენელს ფეკალური „ტბა“ „დაათვალიერებინეს“. „2 კვირაა ასეთი მდგომარეობაა. გუშინ გაწმინდეს და ცოტა გაშრა. ვითომ გააკეთეს სარდაფები, კი ბატონო, მოხრეშეს, მაგრამ საბოლოო შედეგი თუ არ დადგა, ანუ თუ ყველანაირად არ მოწესრიგდა, რა მნიშვნელობა აქვს? სარდაფშიც სავსეა ისევ წყალი და გარეთაც გამოვიდა უკვე, როდემდე უნდა ვიხრჩობოდეთ ფეკალში? ფანჯარა ვერ გაგვიღია და სარეცხი ვერ გაგვიფენია. აღარაფერს ვამბობ, როცა დათბება, ამას რა შეიძლება მოყვეს, ნამდვილად ეპიდემიის კერა გახდება ისეთი სიბინძურე“ - გვითხრა მაცხოვრებელმა მანანა ნოდიამ.

სარდაფში ჩვენც ჩავიხედეთ, სარდაფი მართლაც წყლით და ფეკალით სავსეა. როდესაც ეს ინფრასტრუქტურის სამსახურიდამ მოსულ თემურ ოდიშარიას ვუთხარით, გვიპასუხა, „ნაწვიმარი წყალია, შევა აბა რა იქნებაო, ეს ბინა გუშინ გავწმინდეთ, მობინადრეებიც უნდა გაუფრთხილდეს, ყველაფრის ჩაყრა უნიტაზში არ შეიძლება, პირსახოცები და პამპერსები ამოაქვთ საკანალიზაციო ჭებიდან“.

ე რთ-ერთმა მაცხოვრებელმა თეა ცხოიძემ სამუშაოების უხარისხობაზე ისაუბრა: „მარტო სახლის უკან კი არა, წინაც გადმოდის ფეკალი სარდაფებიდან, ყველგან ფეკალში ვიხრჩობით, ყველაფერი უხარისხოდაა გაკეთებული. გაწმინდეს და 3 დღეში ისევ ასეთი მდგომარეობაა“.

კიდევ ერთი მაცხოვრებელი მაკა ლომაია აბსურდულს უწოდებს ოდოშარიას არგუმენტს, თითქოს უნიტაზში ჩაყრილი ნივთების გამო ხდება მთელი ეს უბედურება: „აბსურდულია რასაც ლაპარაკობთ. უხარისხოდ რომ გააკეთეთ, ესაა პრობლემა. სანამ კანალიზაციის მილებს გამოცვლიდით და სარდაფს ხრეშით აავსებდით, იქამდე გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო”. სამუშაოების უხარისხოდ შესრულებაზე ბინის ყველა მაცხოვრებელი ერთხმად თანხმდება, ერთ-ერთი მობინადრის თქმით: „მოიყვანეს 15 წლის ბავშვები და უჭმელ-უსმელ ბავშვებს ამუშავებდნენ. ჩვენ ვაჭმევდით მუშებს. მშიერი ადამიანი რას გააკეთებს? ყველა საქმე სპეციალისტმა უნდა გააკეთოს, როგორც იტყვიან - პური მეპურემ უნდა გამოაცხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის შედეგი იქნება, რაც არის. ვპირდები შესაბამის სამსასურს, მეორედ რომ ვნახავ ჩემი ფანჯრის ქვეშ ფეკალურ მასას, ავიღებ და ჯამბურიას სამსახურში მივუტან”.

ამხანაგობის თავმჯდომარე ხვიჩა კარანაძე როგორც ამბობს: „კანალიზაციის მილების გამოცვლის დროს გადამსვლელი მილები ქვევით, ჭაში იყო ჩალაგებული, რის გამოც გამტარუნარიანობა არ აქვს. ორი წვიმიანი დღე ეყოფა, წვიმის წყალი შლამს ჩაიტანს, დაიფარება მილები, ვერ გააატარებს და აქით გადმოვა. მილები გამოიცვალა ბინის შიგნით, გარეთ კი ხელი არ უხლიათ. ბინის ქვევით მაშინაც ატარებდა, გადამსვლელი მილებიც უნდა გამოეცვალათ. გამტარუნარიანობა უნდა იყოს დიდი, თორემ რაც უნიტაზში გაეტევა, მილმაც უნდა წაიღოს. უნდა აიწიოს ჭაში მილები ზევით და მოგვარდება პრობლემა“.

ოდიშარიამ როგორც გვითხრა, ქალაქში 285 მაღალართულიანი საცხოვრებელი სახლია და ბინის მაცხოვრებელმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია შექმნილი პრობლემის შესახებ. მან ჩვენს გაზეთს კომენტარი არ მისცა და ინფორმაციისათვის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურში „მიბრძანება“ გვირჩია. ისე, ცნობისთვის დავამატებდი - აქ შექმნილი მდგომარეობის გამო მერის მოადგილე ლევან ჩოჩიასთან გაცილებით ადრე მივედით და როცა კითხვა დავუსვით, გაბრაზებულმა გვითხრა, პროვოკაციულ კითხვას მისვამთ, იქ ყველაფერი უმაღლეს დონეზე გაკეთდაო. სწორად უთქვამთ „ჭირი მალეს, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო“.

ჭანტურიას № 9 საცხოვრებელი სახლის ფეკალით დატბორილი ეზო

ფოთში თანამედროვე ტიპის ცოცხალი თევზის ბაზარი გაიხსნა

შპს „ლუკას“ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე ცოცხალი თევზის თანამედროვე ტიპის ბაზარი ოფიციალურად გაიხსნა. ცოცხალი თევზის ახალ ბაზარში სრულად არის დაცული ჰიგიენურ-სანიტარული ნორმები. როგორც ბაზრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებმა გვითხრეს შემოსული თევზი ყოველდღიურად მოწმდება.

თევზით მოვაჭრეები ახალი განყოფილების გახსნით კმაყოფილებას გამოთქვამენ. მათი განმარტებით: „აქ ყველანაირი პირობა არსებობს სამუშაოდ, გვაქვს ცხელი წყალი და რაც მთავარია სისუფთავე, ვართ გადახურულში თანამედროვედ მოწყობილები. მყიდველსაც გაუხარდება ასეთ სასიამოვნო პირობებში.რომ მოუწევს თევზის ყიდვა. ფაებიც ნორმალურია როგორც ადრე გვქონდა ისევ ისე ვყიდით თევზებს. გვაქვს ყველანაირი თევზის სახეობა. ასეთი ბაზრის მოწყობისთვის და ჩვენთვის ასეთი სასიამოვნო პირობების შექმნისთვის მადლობის მეტი რა გვეთქმის. რამდენი წელია ამას ვითხოვთ და როგორც იქნა აგვისრულდა სურვილი“.

იქვეა ბასეინიც გაკეთებული, სადაც ცოცხალი თევზების მრავალსახეობას იხილავთ.

მემორანდუმის ფარგლებში ასევე დაიწყო რიონის მარჯვენა სანაპიროზე ტროტუარების კეთილმოწყობის სამუშაოებიც , რომელსაც ქალაქის მერი ირაკლი კაკულია ადგილზე გაეცნო და ბაზრის მოვაჭრეებს გაესაუბრა.

პროექტის მიხედვით ,აღნიშნულ ტერიტორიაზე მოეწყობა სანიღვრე არხები და გზის ძირითად ნაწილზე დაიგება ბეტონის საფარი,გაკეთდება გარე განათება.

ფოთში მრავალსართულიან კორპუსებში შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია იწყება

ფოთში, მრავალსართულიან კორპუსებში შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია იწყება, რისთვისაც 760 ათასი ლარი დაიხარჯება. აქედან 217 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო, ხოლო დარჩენილი თანხა 543 ათასი ლარი რეგიონული განვითარების ფონდიდან,- ამის შესახებ ინფრომაციას ფოთის მერია ავრცელებს. პროექტის მიხედვით შიდა საკანალიზაციო ქსელი 35 მრავალსართულიან კორპუსში რეაბილიტირდება.
მრავალსართულიან კორპუსებში შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია 2016 წელსაც განხორციელდა.
პროექტის მიხედვით,საკანალიზაციო სისტემა 26 მრავალსართულიან კორპუსში რეაბილიტირდა,რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 588 ათას 690 ლარი დაიხარჯა.აღსანიშნავია ,რომ მრავალსართულიან კორპუსებში შიდა საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია ქალაქში ბოლო 30 წლის მანძილზე არ განხორციელებულა.

ირაკლი კაკულია: „მალთაყვის სანაპირო ზოლი ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია...“

ივეტა პაჭკორია
ფოთი

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში” ფოთის მერ ირაკლი კაკულიასთან ინტერვიუს ჩაწერას დეკემბრის თვიდან ცდილობს, თუმცა, მერმა ჩვენთვის დრო მხოლოდ თებერვალში გამონახა, ისიც სამუშაო რეჟიმის პარალელურად და სტუმრების მიღების ფონზე. შესაბამისად, მოსახლეობისთვის საინტერესო ყველა კითხვა ვერ დავსვით და სასურველზე მწირი ინტერვიუ გამოგვივიდა. ინტერვიუ გასული წლის შეფასებით დავიწყეთ, თუმცა, ჩვენი კითხვა თავიდან სასაცილოც კი ეჩვენა კაკულიას:

—თქვენ გასულ წელს ჩვენთან საუბრისას აღნიშნეთ - „ ამ ხელისუფლების პირობებში ფოთი თვალში გამოიხედავს”, როგორ ფიქრობთ ერთი წლის გასვლის შემდეგ „გამოიხედა ფოთმა თვალში?“

—თვალში გამოხედვა რას ნიშნავს ვერ მივხვდი?

— თქვენი სიტყვების ციტირება მოვახდინე...

—გასაგებია, ამაზე შემიძლია ორი სიტყვით გითხრათ - ქალაქში არ იყო კანალიზაციის სისტემა, ფოთს, როგორც ტურისტულ ზონას, სასაცილოდ აღიქვამდნენ. მართლაც, როდესაც ამაზე დავიწყეთ საუბარი, დაგვცინოდნენ. მაგრამ თავადაც ხედავთ, როგორი მასშტაბური სამუშაოები გავწიეთ და მალთაყვის სანაპირო ზოლი ერთ-ერთი საუკეთესო პროექტი იქნება არა მარტო ჩვენს ქალაქში. ამასთან ერთად, მოწესრიგდა ნაგავსაყრელი, რაც არ არსებობდა, კოღოსთან ბრძოლაა გაჩაღებული. ჩვენ წინა ხელისუფლების მსგავსად, არ ვაპიარებთ ჩვენს საქმიანობას, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ არაფერი კეთდება. ჩვენი ხალხი ძალიან კარგად ხედავს, რა გაკეთდა. მართალია, თვითკმაყოფილებას არ ვგრძნობთ და ისევ გავაკეთებთ გასაკეთებელს.

— თუმცა, „საუკუნის პროექტად“ დაანონსებული კანალიზაციის პროექტის განხორციელება შეჩერდა...

—გარწმუნებთ, მალე განახლდება სამუშაოები და დამთავრდება კიდეც

-კულუარული ინფორმაციით, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, რომელიც სანაპირო ზოლს აკეთებდა, სამუშაოების დასრულება ვერ შეძლო და სხვა კომპანია მუშაობს.

-ეს სწორი არ გახლავთ, რომელმა კომპანიამაც მოიგო ტენდერი, ის კომპანია მუშაობს ახლაც. სამუშაოების მხოლოდ 1%-ია დარჩენილი.

—რას მიიჩნევთ 2017 წლის პრიორიტეტად...

— 2017 წლის პრიორიტეტი გახლავთ ტურიზმის განვითარება და სანაპირო ზოლის მოწყობა, ქალაქში ინფრასტრუქტურული სამუშაოების გაგრძელება, რომელიც დავიწყეთ ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან. კერძოდ, კანალიზაციის სისტემის მოწესრიგდება, ეს 2 წლიანი პროექტია. სამწუხაროა, რომ ამ პერიოდში ვერ ვაწესრიგებთ შიდა გზებს. როგორც კი აღნიშნული პროექტი დასრულდება, დავიწყებთ გზების მოწესრიგებას. ასევე გავაგრძელებთ კოღოსთან ბრძოლას. გადავხურავთ სახლებს, მეორე სკოლის დარბაზში რემონტის ჩატარებას ვგეგმავთ, რომელიც დაახლოებით 600 000 ლარი დაჯდება. გავაგრძელებთ სანიაღვრე არხებში ბეტონის ფილების ჩალაგებას. მომავალი წლისთვის იგეგმება ხელოვანთა სკვერში მდებარე შადრევნის რეაბილიტაცია და განათება. არ ვიცი, რამდენად შევძლებთ, მაგრამ ვგეგმავთ მალთაყვის ზოლზე რომელიმე ფესტივალის ჩატარებას, რომელიც მალთაყვის ბრენდირებას შეუწყობს ხელს. უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერი და მოხდება სტადიონის პირველი ნაწილის დასრულება. გვაქვს ნოვატორული პროექტი. ვაპირებთ ბაღებში ახალი გათბობის სისტემის დაყენებას. ეს არის ქარის ენერგიისა და მზის ენერგიის ჰიბრიდული დანადგარი, რომელიც მოახდენს დენის გენერირებას. ამისათვის მომავალ კვირას პროფესიონალები ჩამოვლენ და დავიწყებთ პროექტირებას. ეს არის ახალი სიტყვა საქართველოში და გვინდა ფოთელები პიონერები ვიყოთ ამ მხრივ. თუ პროექტი გამართლდა, ორი მრიცხველი დაყენდება ბაღში, ერთი მრიცხველით ბაღი თავის შემოსულ ენერგიას დახარჯავს 13 თეთრად, მეორე მრიცხველით ქარის და მზის ენერგიის გენერირებით გავა ქსელში 11 თეთრად. ეს იქნება პრიორიტეტი. წელს ზღვის ტალღის სიმაღლე კრიტიკულ ნიშნულზეა. 150 წელია იზომება ზღვის ტალღის სიმაღლე და 6.9 იყო მაქსიმალური, სეზონზე კი 7.2 დაფიქსირდა, ეს ნიშნავს, რომ უფრო ინტენსიურად ჩარეცხავს ზღვა სამხრეთ სანაპირო ზოლს, აქედან გამომდინარე უნდა გამოვნახოთ გზა, როგორმე ჰიდროტექნიკური ნაგებობა ამუშავდეს და სამხრეთ ნაწილი დაიცვას ეროზიისგან, რადგან თუ ასე გაგრძელდა, 10 წელიწადში „მაიაკი“ აღარ იქნება.

ფოთის მერი ირაკლი კაკულია

— ამაზე გასულ წელსაც ისაუბრეთ. თქვენ მაშინაც თქვით, უნდა გამოვნახოთ საერთო ენა ნავსადგურთან, რათა ჰიდროტექნიკური შენობა გავარემონტოთ...

— სამწუხაროდ, ვერ გამოვნახეთ ნავსადგურთან საერთო ენა, ჩვენი ძალებით კი ვერ შევძელით. დღეისათვის ეკონომიკის სამინისტროსთან გვაქვს მოლაპარაკება, კერძოდ გიორგი გახარიასთან, ჯერ ვერა-

დასასრული 5- გვ.

არჩილ მელიქია: „ჩვენც გვინდა მოწესრიგებული ბაზარი...“

გარემოვაჭრეები ბაზარში მიმდინარე პროცესებით უკმაყოფილოები არიან...

ივეტა პაჭკორია
ფოთი

ჩვენს ქალაქში ბაზრის თემა აქტუალობას არ კარგავს. ამჟამად ბაზარში ხმაურის მიზეზი ქალაქსა და შპს „ლუკას” შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები აღმოჩნდა, რომელმაც შპს „ლუკასა” და შპს „კოლხა 97“-ის დირექციასა და მოვაჭრეებს შორის უთანხმოება ჩამოაგდო. მემორანდუმის თანახმად, ბაზრის კეთილმოწყობა უკვე დაიწყო, რის შედეგადაც ბაზრის გარკვეულ ნაწილზე აიკრძალა გარევაჭრობა.

შპს „კოლხა 97“ დირექციასა და მისი მოვაჭრეების უკმაყოფილება აგრარული ბაზრის შენობის ირგვლივ დასაგები ბეტონის საფარის სისქემ გამოიწვია, რომელიც შენობაში შესასვლელი კიბის პირველ საფეხურს უნდა გატოლებოდა, შპს „კოლხა 97“-ის დირექტორის მურთაზ ქირიას განმარტებით, ბეტონის დასხმის შემდეგ ნაწვიმარი წყალი მთლიანად მათ შენობასა და მის მიმდებარედ მდგომ მოვაჭრეებს დატბორავს. ქირია აღნიშნულ მემორანდუმსაც არალეგიტიმურად ცნობს და მის გასაჩივრებასაც აპირებს. მისივე განმარტებით: „ეს არის მიზანმიმართული შევიწროება, რათა მაიძულონ უარი ვთქვა მუშაობაზე. არავის არაფერს შევარჩენ. ავიყვან ადვოკატს და განვიხილავთ მემორანდუმის სისწორესაც, რადგან, თუ ბაზრის ტერიტორიაზე ხდებოდა რამე, ჩემთვისაც უნდა ყოფილიყო ცნობილი. არ ვაპირებ ამ საქმის ასე დატოვებას. მერსაც მინდა წერილით მივმართო. მართალია, არასდროს დამიწერია საჩივარი და არ დამიბეზღებია ადამიანი, მაგრამ იძულებული ვარ, გადავდგა ეს „არაკაცური“ საქციელი. „პასაჟში“ მაქვს მაღაზია, რომელიც ჩემს საკუთრებაშია. ღამით მოვიდნენ ქანთარია და ჯოტია ალანია და გადაჭრეს მარტო ჩემი მაღაზიის კონსტრუქცია“.

ბაზრის ხელმძღვანელობაზე გაბრაზებული ერთ-ერთი მოვაჭრე მზია კალაძე ბენზინის გადასხმითაც იმუქრება: „ჯერ მათ შევასხამ ბენზინს და მერე მე გადავისხამ. თავისთავად არ ვართ აყრილები? სოფელს შემოსატანი არაფერი აღარ აქვს, მარაგი ამოიწურა. ზაფხულში სოფლის ხალხი რომ მოაწყდება, როგორ აყრიან? ან სად წაიყვანენ? შიგნით ვინც იყო, დაიკავა პირველი მწკრივი, შუაში კი კლიენტი არ შედის, ძალიან ბევრი სახლში წავიდა. გლეხმა მისი ნაწარმი სად გაყიდოს, თუ ბაზარში არ შეუშვებენ, სად წაიყვანენ, კაბინეტში დასვამენ? იცით რა, ზოგს ბესელია ყავს, ზოგს კაკულია, ზოგს ხახუბია, ხალხი ხომ ჭირდებოდათ, როცა ხმა უნდოდათ? მერე ის ხალხი ვართ ჩვენ და ცოტა მოგვხედონ. რომ იძახის ბელქანია - სამი დიპლომი მაქვსო, ჩვენ არავის დიპლომს და ცოდნას არ ვართმევთ. აგერ დიპლომიანი კაცი „კაჩკაზე“ მუშობს, ყველას ბელქანიასავით არ გაუმართლა. რა უნდა ჩვენთან? რომ ამბობენ სახანძრო და სასწრაფო ვერ შემოდისო, მეცხრე სართულზე ადის სასწრაფო? მაგრამ ექიმები გადმოდიან და ადიან ფეხით“.

მოვაჭრე ნელი კალანდარიშვილს კი უკვირს: „იმდენი კანონია დაწერილი და შეუსრულებელი, ვერავინ მოთვლის, მაგრამ მაინცდამაინც გაჭირვებული ხალხიდან იწყებენ ქვეყნის და ქალაქის დალაგებას. ყველას ბანკების სესხები გვაქვს, დიდი სიამოვნებით წავალ, დავჯდები სახლში და დავისვენებ, თუ ჩემს ბანკებს ჩაიბარებენ. თურქეთიდან ჩამოსულ ხალხს ვნატრობთ, იქნებ ბაზარში შემოიაროსო. ერთი ტომარა ხახვი დამილპა უკვე და ზარალში ვარ, რადგან მყიდველი არავინაა. დღეს 5 ლარი ვივაჭრე მხოლოდ. ჩემს გვერდით მგომმა მამაკაცმა კი 3 ლარი, ასე როგორ ვიცხოვროთ? ყველა თურქეთშია სამუშაოდ გადაცვენილი და ჩვენც მათ გზას დავადგეთ? საქართველოში აღარ დარჩეს ვინმე? მარტო მათ უნდა იმუშაონ აქ? ამ კონსტრუქციებში ფული გვაქვს გადახდილი“.

ერთ-ერთი მოვაჭრე, რომელმაც ვინაობა არ გაგვიმხილა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მერიაში წასვლასაც აპირებდა: „მერიაში წასვლაც გვინდოდა, მაგრამ, როდესაც შემთხვევა ხდება, შემთხვევის ადგილზე მოდიან და არა შემთხვევის ადგილი მიაქვთ იქით. აქეთ არავის მოუკითხავს, დაგვახრჩვეს. რატომ ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ ბაზრის ტერიტორიაზე შიგნით ყველგან შეუძლია დგომა და ვაჭრობა. რასაც მოვაჭრეებს გვიკეთებენ, ეს სადიზმია. ისეთ დღეში ჩააგდეს ერთ-ერთი ბაზრის დირექტორი და მისი მეუღლე, ვერ გადმოგცემთ. ლამის ინფარქტი მიაღებინეს ხალხს“.

გარევაჭრობისგან გათავისუფლებული რიონის მარცხენა სანაპირო

დღეისათვის ამ მონაკვეთზე შეჩერებულია სამუშაოები, თუმცა ბაზრის კეთილმოწყობის სხვა სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს, არქიტექტურისა და ზედამხედველობის უფროსი არჩილ მელიქია დღევანდელ ბაზრისა და მის მიმდებარე ტერიტორიას ქაოსურს უწოდებს: „რაც შეეხება გარე ვაჭრობას, იქ სრული ქაოსია და ვცდილობთ მოვაწესრიგოთ ამ კუთხით ქალაქი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150 პრიმა მუხლის, მე-3 ნაწილით, ლითონ კონსტრუქციების, დახლების, ჯიხურების უნებართვოდ განთავსებაზე რეაგირებას ჩვენთან ერთად შინაგან საქმეთა ორგანოებიც ახდენენ“.

მოვაჭრეების პროტესტი იმის გამო, თითქოს ნათესაობითა და ნაცნობობით ხდება მოვაჭრეების აყრა და ან დატოვება, მელიქიამ უარყო“ „ჩვენ ყველასთან გვაქვს ერთნაირი მიდგომა. აქ საუბარი არ არის ორმაგ სტანდარტზე, აბსოლუტურად ყველას ვეუბნებით, რომ იმ ფორმით, რა ფორმითაც ისინი ვაჭრობენ, მიუღებელია ეს. მოსახლეობისთვისაც, ქალაქისათვის და იქ მოვაჭრეებისთვისაც აუცილებელია, რომ მოწესრიგდეს ეს ტერიტორია, რადგან ძალიან ხშირია უსაფრთხოების კუთხით დარღვევები არამარტო აქ, არამედ სხვადასხვა ქალაქებში, იქნება ეს ხანძარი თუ სხვა და სხვა პრობლემა. ასეთ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ისევ და ისევ ქალაქის მმართველობაზე მოდის და ჩვენ, ბოლოსდაბოლოს უნდა მოვაწესრიგოთ ეს“.

რაც შეეხება ჯარიმებს, მელიქიას განმარტებით, მათი აპრიორი არ არის მოვაჭრეების დაჯარიმება: „ვცდილობთ, როგორმე გავაგებინოთ მოვაჭრეებს, რომ ეს პროცედურები აუცილებელია მათივე უსაფრთხოებისთ-

დასასრული 4- გვ.

ფოთელებს მყრალი თევზის სუნი ისევ აწუხებს, ქარხნის მეპატრონეები კი ხელს ერთმანეთისკენ იშვერენ

მარი ჯაფარიძე
ფოთი

წლების განმავლობაში ქაფშიას რეწვის სეზონი აუტანელია ფოთის მოსახლეობისათვის, რადგან მოუწესრიგებელი გადამამუშავებელი ქარხნებიდან გამოსული საშინელი სუნი სუნთქვის საშუალებასაც კი არ იძლევა. ასეთი აუტანელი მდგომარეობა გასულ წელს და სხვა დროსაც აქციებითაც გააპროტესტეს და ადგილობრივი ხელისუფლებაც მოსახლეობას დაპირდა ფოთში არსებულ თევზის გადამამუშავებელ ქარხნებთან მოლაპარაკებას, რათა მათ დაედგათ ორთქლის გამწმენდი ფილტრი. შედგა თუ არა მოლაპარაკება და რამდენად შედეგიანი აღმოჩნდა იგი, ამაზე ვერაფერს ვიტყვით, თუმცა მოსახლეობის ნაწილი ამბობს, რომ აუტანელი სული ისეთი სიხშირით აღარ არის, როგორც ეს გასულ წლებში იყო, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ არაფერი შეცვლილა.

ფოთში თევზის გადამამუშავებელი რამდენიმე ქარხანა მუშაობს. ქარხნების ხელმძღვანელი პირები ხელს ერთმანეთისკენ იშვერენ და ოდნავი ნიავის დროსაც კი ქალაქში გავრცელებულ სუნს ერთმანეთს აბრალებენ. ჩვენი გაზეთი აღნიშნულ თემას არაერთხელ შეეხო. ამჟამად ვცადეთ ქარხნების ხელმძღვანელებთან გასაუბრება და ინფორმაციის მოპოვება, მაგრამ ზოგ მათგანთან ტელეფონით გასაუბრებაც ვერ მოხერხდა მათი უმიზეზო აგრესიის გამო.

მეშვიდე კილომეტრზე მდებარე თევზის გადამამუშავებელ ქარხანაშიც არაერთხელ მივედით, თუმცა უშედეგოდ, თანამშრომლებმა დირექტორის ტელეფონის ნუმერიც კი არ მოგვცეს – უფროსი ახლახან შეიცვალა, თბილისშია და ნომერს ვერ მოგცემთო – იყო მათი პასუხი. თუმცა, ჩვენ მოვიპოვეთ კახა გამზარდიას ნომერი, რომელიც, როგორც გვითხრეს, პასუხისმგებელი პირი გახლავთ ხსენებულ ქარხანაში. ბატონი კახა ჩვენმა ზარმა ფრიად გააღიზიანა - „ვინ მოგცათ ჩემი ნომერი?„ – გვკითხა აღშფოთებულმა და ყველა კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხით შემოიფარგლა - "არვიცი" . თან დაამატა - მე აქ პასუხისმგებელი პირი კი არა, უბრალო თანამშრომელი ვარ და პასუხს ვერაფერზე გაგცემთო.

თევზის გადამამუშავებელი ქარხანა „აისბერგი 2„

გამზარდიასგან განსხვავებით ენაწყლიანი გამოდგა ქარხანა „მადაის“ დირექტორის მოადგილე ზაზა ინაშვილი. მისი მტკიცებით, ქარხანას გამწმენდი ფილტრი უყენია. რაც შეეხება სუნს: „საშინელი სუნი არ დგას და თან ეს ნახარშის სუნია და არა თევზის. სუნის პრობლემა ყველა ქვეყანაში დგას, სადაც მსგავსი ქარხნები არსებობს“. ასეთი მყრალი და აუტანელი სუნი ნახარშის იქნება თუ დამპალი თევზის, მერწმუნეთ, ფოთელებისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ინაშვილის განმარტებითვე, წელს აპირებენ სუნის ჩამხშობი დანადგარის გაუმჯობესებას: „ქარხანაში გვიყენია ფილტრი. დამეთანხმებით ალბათ, რომ წელს სუნი ნაკლებია. ვაპირებთ ესეც გავაუმჯობესოთ და თევზის სუნი მინიმუმამდე დავიყვანოთ. მთლიანობაში საკმაოდ დიდი სამუშაოები გავწიეთ პირველი ეტაპისათვის. დაიდგა ავზები, სადაც ხდება გამონაბოლქვის კონდიცირება წყლის სისტემით. ჩემთვისაც დისკომფორტია ეს სუნი. მეც ფოთელი ვარ და არავისზე ნაკლები ფოთელიც არ ვარ. არავისზე ნაკლებად არ მიყვარს ჩემი ქალაქი და თანაქალაქელები, მაგრამ შარშანდელთან შედარებით სუნის პრობლემა ნაკლებად გვაქვს წელს და ის ხარვეზი, რაც ვერ გავითვალისწინეთ, სამომავლოდ აუცილებლად მოგვარდება. სუნს ისიც იწვევს, რომ ხშირად ბევრია თევზი და ფუჭდება, ანაც როდესაც შუქი გამოირთვება. ისე, მინდა გითხრათ, რომ არ არსებობს ამ სუნის 100 % ჩამხშობი მექანიზმი“. ინაშვილმა ჩვენთან საუბრისას „გაამხილა“ რომ თევზის სუნის მიზეზი წყლის მცირე რაოდენობაცაა: „წყლის პრობლემა გვაქვს, რადგან პალიასტომიდან წყალს ვერ ვიღებთ, ჭაბურღილი გავაკეთეთ, მაგრამ არ ეყო. ახლა ორ ჭაბურღილს კიდევ ვამატებთ. ვაღიარებ, რომ ვერ გავითვალისწინეთ, ერთი ჭაბურღილი მთლიანად ვერ მოსპობდა სუნს. სუნის მიზეზი არ არის ის, რომ ფულს ვიზოგავთ და ამიტომ არ გვიყენია ფილტრი. ქალაქში ჩვენს გარდა სამი ქარხანაა და ყველა ერთად აბინძურებს ქალაქს, შეიძლება ვიღაც ნაკლებად, ვიღაც მეტად და არა ისე, როგორც ზოგიერთები ამბობენ – ხარაბაძის „მადაი“ და ჯეოფიშის ქარხანა აბინძურებსო. არავისკენ ვიშვერ ხელს, მაგრამ ჩვენსკენაც ნურავინ გამოიშვერს. მოგეხსენებათ, ერთი ტაფა ქაფშია რომ შეწვა სახლში, რა სუნი დგას და როდესაც 300-400 ტონა იხარშება, თავისთავად აქვს სუნი. ყველანაირად ვცდილობთ, რაც შეიძლება ნაკლებად იყოს სუნი". ინაშვილმა მოქალაქეების „დასამშვიდებლად“ დაამატა, რომ აღნიშნული სუნი არანაირად მომწამვლელი არ გახლავთ. მანვე უარყო თევზის გადამზიდავი მანქანებიდან თევზიანი წყლის გაუონვა და რიონში ნარეცხი წყლის ჩადინება, რის შედეგადაც შემდეგ ქალაქში ვრცელდება სუნი, რასაც ქარხნებს „აბრალებდა“ ფოთელების ნაწილი: „ჩვენ შარშან ქართული მანქანებით ვმუშაობდით და წყლის გაუონვის პრობლემა გვქონდა, წელს კი თურქეთიდან სპეციალურად ოთხი მანქანა ჩამოვიყვანეთ და ერთი წვეთი წყალი არ გასდის. ისე, ადრე მურმან ხარაბაძეს ქარხნის გადატანა უნდოდა ყულევში, მაგრამ სამწუხაროდ, არცერთი მერი გვერდით არ დაუდგა, საღინაძიდან დაწყებული ყველა მერს მიმართა თხოვნით, რათა ქარხანა ყულევში გადაეტანა საკუთარი ხარჯებით".

თევზის გადამამუშავებელი ქარხანა „მადაი„

სუნის ქარხნიდან გავრცელებას სრულიად უარყოფს თევზის გადამამუშავებელი ქარხნა „აისბერგ2"-ის დირექტორი ირაკლი ვეკუა: „სუნი ორთქლის ატმოსფეროში გაფრქვევის შედეგად წარმოიქმნება. ჩვენ გვიყენია დანადგარები, რომლის მეშვეობით ატმოსფეროში არ გადის ორთქლი და წყლის მეშვეობით ხდება ორთქლის გაგრილება. გაგრილების შედეგად წარმოიქმნება კონდენსატი, კონდესატი არის უკვე წყალი, ე.ი. ორთქლი გადაიქცა წყლად. წყლადგადაქცეული ორთქლი კანალიზაციაში გადის. აქედან გამომდინარე, სუნი არ არის ჩვენთან. აქ დასაქმებული ადამიანები, ვინც დანადგარის დადგმამდე მუშაობდნენ, ისინი უკეთ ხვდებიან ამ დანადგარის როლს და აღნიშნავენ კიდევაც ამას".

სხვათაშორის, აღნიშნული ქარხანა ფოთის მაჟორიტარ ირაკლი ხახუბიას ეკუთვნის და საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ხშირად აღმოჩნდა უხერხულ სიტუაციაში, რადგან შეხვედრებისას თანაქალაქელებმა არაეთხელ უსაყვედურეს ამ სუნის გამო. ამ ბრალდებების გასაბათილებლად და იმის დასამტკიცებლად, რომ ქარხანას ფილტრი ნამდვილად უყენია და სუნი არ გამოდის, რამდენჯერმე მიიწვია აქ სხვადასხვა მედიასაშუალებების ჟურნალისტები.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სუნი მართლაც ისე ხშირად არ აწუხებს ქალაქს, როგორც წინა წლებში, მაგრამ თუ მთლიანად მოხდება მისი აღმოფხვრა, რათქმაუნდა, ფოთელებისთვის ეს დიდად სასიამოვნო ფაქტი იქნება და ქარხნების მეპატრონეებმა, ერთმანეთზე გადაბრალების ნაცვლად, შეთანხმებულად იმუშაონ არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად, ეს უფრო შედეგიანი აღმოჩნდება.

არჩილ მელიქია: „ჩვენც გვინდა მოწესრიგებული ბაზარი...„
გარემოვაჭრები ბაზარში მიმდინარე პროცესებით უკმაყოფილოები არიან...

დასაწყისი მე-3 გვ.

ვისაც. ბაზრის ადმინისტრაცია დაგვპირდა, რომ მათთვის ბაზარში გამონახავენ ადგილებს და სამი თვის განმავლობაში გადასახადებისგანაც გათავისუფლდებიან“.

მელიქიას მტკიცების მიუხედავად, იყო შემთხვევა როდესაც ურჩ მოვაჭრეს, რომელმაც არ აიღო მისი კონსტრუქცია, გამოუწერეს ჯარიმის ოქმი, რომელიც გადაეგზავნა სასამართლოს. ადმინისტრადიციული კანონის თანახმად, უსახურ, უნებართვოდ განთავსებულ კონსტრუქციაზე ჯარიმის ოდენობა 500 ლარს შეადგენს. თუმცა, პირველ ჯერზე სასამართლო გაფრთხილებით შემოიფარგლა. მელიქიას მაგალითად ზესტაფონის ბაზარში ჩატარებული სამუშაოები მოჰყავს: „ცოტა სენსიტიური თემაა, მაგრამ მინდა ზესტაფონის მაგალითი მოვიყვანო, მათ მოახერხეს და ისე გააკეთეს, რომ სასიამოვნოა იქაურ ბაზარში შესვლა, ისეთი წესრიგია. ჩვენს ქალაქშიც გვინდა მოწესრიგებული ბაზარი. მიმაჩნია, რომ ამის წინააღმდეგი არავინ უნდა იყოს. დავიწყეთ ბაზრით, შემდეგ მოწესრიგდება ფარნავაზ მეფის ქუჩა და არ დავუშვებთ, რომ მოწესრიგებულ ადგილას ისევ გარევაჭრობა დაიწყოს“.

შპს „ლუკას" დირექტორი თეა ბელქანია როგორც ამბობს, მემორანდუმის შესახებ აცნობეს ყველა დაინტერესებულ პირს. რაც შეეხება „კოლხა 97" დირექტორს, მას პრეტენზიების გამოთქმის მიუხედავად, წერილობით არავისთვის მიუმართავს. ბოლო დროს განვითარებული უთანხმოება და ხმაური შპს „ლუკას" დირექციასა და შპს „კოლხა 97" შორის, ბელქანიასავე განმარტებით, არა გზის მოხრეშვამ, არამედ ქირიას მაღაზიის წინ უნებართვოდ გაკეთებული „ნავესის“ დემონტაჟს უკავშირდება: „მაღაზია მურთაზ ქირიას სავაჭრო ცენტრ „პასაჟში" აქვს, ხოლო ნავესის ნებართვისათვის საბუთები მზადაა, მაგრამ ნებართვა ჯერ არ გაჩნია“. ბელქანიას ამ პრეტენზიაზე ქირიას თავისი პასუხი გააჩნია: „ნავესის ნებართვა არავის აქვს ბაზარში და მეც ამიტომ არ მომცეს თანხმობა".

მურთაზ ქირიას ადვოკატი ჯული ლომაია აბსურდულს უწოდებს თეა ბელქანიას კომენტარს. მისი განმარტებით, ნოემბრის თვეში შპს „კოლხა 97"-ის დირექტორმა მურთაზ ქირიამ არქიტექტურის სამსახურს მიმართა კუთვნილებაში არსებული სავაჭრო ცენტრის მიმდებარე ტერიტორიის დასარეგისტრირებლად. სწორედ მაშინ გაიგეს მემორანდუმის პროექტის შესახებ და არსებული წესის მიუხედავად ამის განხილვაზე ბაზრის მეპატრონეებს არ აცნობეს: „ჩვენთვის არავის არაფერი უთქვამს. მეტიც, იანვარში გაფრთხილების წერილი მოუვიდა „კოლხა 97", რომ გაეთავისუფლებინათ სავაჭრო ცენტრის წინა მხარე იქ მდგარი გარემოვაჭრეებისგან. მურთზ ქირიას ოჯახმა მერსაც მიმართა წინადადებით, რომ თავიანთ კუთვნილ ტერიტორიას თავად მოაწესრიგებდნენ. კაკულიას მაშინაც კი არ უთქვამს, რომ მემორანდუმი უკვე გაფორმებული იყო და ხელშეკრულება ბელქანიასთან დადებული ქონდათ. მიმაჩნია, რომ მერის მხრიდან ეს თანაქალაქელის აბუჩად აგდება გახლდათ. თუმცა, მერმა თხოვნის წერილობით მიმართვა თხოვა და მის განხილვასაც დაპირდა. ქირიას ადვოკატი იმასაც ამბობს, რომ ამ მემორანდუმში კაკულიას ინტერესები დევს: „ამას ღიად ვაფიქსირებ, მერიაში რომ ვიყავი ხელმოწერელი დოკუმენტი მოგვცეს და დაგვიმალეს სიმართლე. მაშინაც აღვნიშნე და ახლაც ვიმეორებ, თუ კარგი რამე ხდება, მივესალმები, მაგრამ გვაჩვენონ პროექტი, ხარჯთაღრიცხვა და ქირიას კუთვნილებაში არსებული შენობის მიმდებარედ ტერიტორიას თავად მოვაწესრიგებთ. ამაზე ბელქანიას პასუხი ასეთია -ასეთ შემთხვევაში პროექტი მთლიანად წაიღეთო. მთლიად წაღება არ გვინდოდა, მხოლოდ საკუთარი ფართის მოწესრიგებდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თავად უნდათ მოწესრიგება, რათა შემდეგ თვითონ დასვან იქ მოვაჭრეები. ქირიას საკუთრებით ბელქანიამ რატომ უნდა ისარგებლოს? ჩვენ ეკონომიკის სამინისტროში გასაგზავნად ვამზადებთ წერილს და შემდეგ დადგინდება ამ მემორანდუმის კანონთან შესაბამისობა. ამ საქმის ასე დატოვებას არ ვაპირებთ".

ნადირობის შესახებ კანონის განხილვა ფოთში ხმაურით წარიმართა...

ფოთელი მონადირეები: „ვინ ხართ თქვენ, საიდან მოხვედით, დაგვახრჩვეთ ბარემ...„

მარი ჯავახია
ფოთი

საკრებულოს სააქტო დარბაზში „ნადირობის შესახებ» კანონპროექტის განხილვა გაიმართა. კანონპროექტი 2016 წელს სამინისტრომ შეიმუშავა და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ეროვნულ დონეზე შერულებას ითვალისწინებს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა «ნადირობის შესახებ" ახალი კანონპროექტი ფოთელ მონადირეებსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს წარუდგინა.

როგორც პრეზენტატორმა კარლო ამირგულაშვილმა შეხვედრაზე განმარტა, კანონის მიზანი გახლავს ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრადი ნადირობის ჩამოყალიბებას და ამავდროულად აწესრიგებს გარეულ ცხოველთა სამყაროს ობიექტების მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად სარგებლობისა და ნადირობის მართვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

ახალი კანონპროექტით განსხვავებულ სისტემაზე გადადის სანადირო ტერიტორიები. ამ კუთხით, სამინისტრომ საერთაშორისო პრაქტიკა გაითვალისწინა. განიხილება მონადირეთა ფედერაციის შექმნის შესაძლებლობაც. ამირგულაშვილის განმარტებით, შემოდის სამონადირეო ტერიტორიის მმართველი, რომელსაც ნადირობის განხორციელებაზე მართვის უფლება მიენიჭება. შესაბამისი უფლებები და მოვალეობები კანონით დარეგულირდება. ასევე გამოიყოფა სამონადირეო ტერიტორიები.

ტერიტორიის მოცულობა არ უნდა იყოს ისეთი მცირე, რომ იქ შეუძლებელი იყოს სანადირო სახეობების მდგრადი მართვა და სარგებლობა.

პრეზენტაციამ მონადირეთა უკმაყოფილება გამოიწვია. ემოციური გახლდათ ერთ-ერთი მეთევზის გოჩა კვაჭაძის გამოსვლა: „გახსნით მეურნეობებს და თქვენვე ინადირებთ ისევ, ჩვენ არ გვაქვს იმის საშუალება, რომ ნადირობაში ფული გადავიხადოთ. 7 შვილის მამას ნავი წაართვა გარემოს დაცვის ინსპექტორმა და 1000 ლარიანი ჯარიმა დააწერა. ვინ ხართ თქვენ, საიდან მოხვედით? ჩამობრძანდეს მინისტრი აგუაშვილი აქ. პალიასტომზე არ ითევზაო, ფიჩორზე არ ითევზაო, დაგვრჩა სადმე სანადირო და სათევზაო ადგილი? ამას არ კითხულობთ? თურქ მეთევზეებს არავინ არაფერს ეუბნება. ან რომ ამბობთ 200 სახეობის იხვი ბინადრობს პალიასტომზეო, ჩამომითვალეთ ერთი. პალიასტომზე მაქსიმუმ 4 სახეობის იხვი და გედი ბინადრობს, დაგვახრჩვეთ მაინც ფოთელები. ერთი პალიასტომი გვაქვს ფოთელებს და ესეც წაიღეთ თბილისში. გაფორმებული პატარა ნავი მქონდა, გდი-მ მცირე გემი ჩამიწერა, არ გრცხვენიათ, ნავზე გემი რომ ჩამიწერეთ?"

მონადირეებმა სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად კოლხეთის ტრადიციული გამოყენების ზონაში 500 მეტრიანი ბუფერული ზონის გაუქმება მოითხოვეს. მათი თქმით, არ არსებობს ტერიტორია, სადაც თავისუფლად შეძლებენ ნადირობას და გადაადგილებას. არსებულ პრობლემაზე მონადირეთა კავშირის თავმჯდომარემ გიგი ხომერიკმა ვრცლად ისაუბრა: „კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული საზღვრები არის 5 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული: ლანჩხუთის, სენაკის, აბაშის, ზუგდიდის და ხობის. შესაბამისად, კანონმდებლობის თანახმად, ადმინისტრაციულ საზღვარზე 500 მ ბუფერული ზონაა, რომელიც ერთმანეთს ფარავს და პრაქტიკულად სანადირო ადგილი არ არსებობს. კანონის შემოღება შეიძლება თეორიულად კარგი იყოს, მაგრამ ის ტერიტორია, რასაც კანონი უნდა მოერგოს, პრაქტიკულად არ გვაქვს. ჩვენი მოთხოვნაა, პირველ რიგში, უაზრო ბუფერული ზონის მოხსნა და ვითხოვთ გარკვეული საფასურის და კატერის ლიცენზირებული საფასურის შემოღებას, ადმინისტრაციულ საზღვრებში ნადირობის უფლებას. ტრადიციული მართვადი ზონა არის ბუფერული ზონის შიგნით, შესაბამისად, ბუფერულ ზონამდე ვერ მივდივარ იარაღით".

შეხვედრა მონადირეებთან

დღევანდელი კანონი ხომერიკმა კინოფილმ ნერგების კადრს შეადარა „ნერგები წაიღე მაგრამ ამ ქვის იქით არ წახვიდეო". გახსოვთ, ალბათ ეს ფილმი, ნერგები კი სწორედ ქვის იქით იყო. შეხვედრაზე მონადირეებმა კიდევ ერთ პრობლემაზე ისაუბრეს - პალიასტომის ტბაზე დაკეცილი თოფით დაჯარიმებაზე: „თუ პალიასტომზე თოფი არ გადავიტანე, სანადიროდ როგორ წავიდე"?

მონადირეებმა ასევე აღნიშნეს, გარემოს დაცვის ინსპექციის არაკომპეტენტური, არაკვალიფიციური კადრების შესახებ, მათი თქმით, ინსპექტორები ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებენ იხვსა და ტყის ქათამს. ხშირად, ისინი მონადირეებს მოტორიანი ნავებით ნადირობას უკრძალავენ მაშინ, როცა თავად უფრო მძლავრი მოტორიანი ნავებით „სერავენ" პალიასტომის „ტალღებს".

შეხვედრა იმდენად ხმაურიანი გახლდათ, რომ თავად მერს უწევდა წესრიგის დამყარება და სიტუაციის განეიტრალება.

სამინისტროს მაღალჩინოსნები სიმშვიდით განთქმული ფოთელებისგან ამდენი პრეტენზიის მოსმენით ფრიად გაკვირვებული ჩანდნენ. მონადირეებსა და მეთეზეებს ქალაქის მერი და საკრებულოს წევრებიც არ ჩამორჩნენ. „გდი ვერ ახდენს ადმინისტრირებას იმიტომ, რომ არ არის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვერ აკონტროლებს პალიასტომზე ნადირობას და ამიტომ მარტივი გამოსავალი გამოიტანა - გააუქმა საერთოდ გადაადგილება პალიასტომზე, ვთვლი, რომ ეს არ არის სწორი. ჯობია, აღიჭურვოს გარემოს დაცვის ინსპექცია (გდი) საჭირო ინვენტარით და მონადირეებს და მეთევზებს მიეცეს პალიასტომზე გადაადგილების საშუალება" -აღნიშნა კაკულიამ.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის უფროსის ნონა ხელაიას განმარტებით: „სამინისტრომ შეიმუშავა ნადირობის შესახებ ახალი კანონპროექტი, რომელიც დაარეგულირებს ნადირობის სფეროს, რადგან კანონი ნადირობის შესახებ არ არსებობდა. კანონი ახლებურად აყალიბებს ბევრ საკითხს, მათ შორის ნადირობის ტერიტორიების გამოყოფას და მის გადაცემას მსურველებისათვის. ჩვენი მიზანია, ეს მოდელი გავაცნოთ მონადირეებს, დავდივართ ყველგან და ვინიშნავთ შენიშვნებს, რათა შემდეგ კანონის ჩამოყალიბებისას გავითვალისწინოთ მონადირეთა ინტერესები".

სამინისტროს წარმომადგენლები ფოთელ მონადირეებს დაპირდნენ, რომ ყველა მათ პრობლემას განიხილავენ.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო „ნადირობის შესახებ" ახალი კანონპროექტის საჯარო განხილვას ყველა რეგიონში გეგმავს.

შეხვედრა მონადირეებთან

ირაკლი კაკულია: „მალთაყვის სანაპირო ზოლი ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია...„

დასაწყისი მე-3 გვ.

ფერს ვიტყვი, საკითხი მუშაობის პროცესშია, მაგრამ როგორც კი დადებითად გადაწყდება, გეტყვით რაც იქნება.

— აპრილის თვიდან ამოქმედდება ახალი კანონი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ. კანონის შესაბამისად, ყველა ბაღმა უნდა გაიაროს აკრედიტაცია. ამიტომ უნდა მოხდეს ყველა ბაღის სტანდარტებთან მიახლოება. როგორც ვიცით ბაღების რემონტი წლევანდელი ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის...

— ჩვენს ქვეყანაში განათლება პრიორიტეტია. განათლების პირველი ნაბიჯი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები გახლავს. ეტაპობრივად მოვახდენთ ბაღების მოწესრიგებას სტანდარტების შესაბამისად. ეს რამდენიმე წლიანი პროექტია და წელს რაც იქნება საჭირო გავაკეთებთ. მიმდინარე რემონტები ყოველ წელს კეთდება, რაც გაერთიანების დირექტორს გათვალისწინებული აქვს ბიუჯეტში. მე ზოგადად გეუბნებით და უფრო კონკრეტულად პასუხს გაერთიანების დირექტორი გაგცემთ, თუ გაინტერესებთ.

-უკვე ორი წელია ქალაქი ტრანსფერს არ ღებულობს, რითი ახსნით ამ ფაქტს?

-იმით აიხსნება რომ ქალაქს აქვს საკუთარი ხარჯები, ტრანსფერი ისაზღვრება გარკვეული პარამეტრებით. ამ პარამეტრების დეტალური ახსნა ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელისგან შეგძლიათ მიიღოთ. ჩვენ გვაქვს შემოსავალი, ამდენად, არ გვეკუთვნის ტრანსფერი.

-თუმცა, ჩვენი შემოსავლებით ხელფასებიც კი ვერ დარიგდა და ვალიც ავიღეთ...

-ვალი იმიტომ ავიღეთ, რომ პირველ კვარტალში შემოსავლების პრობლემები გვაქვს. ფინანსთა სამინისტრო დაგვიდგა გვერდით, რისი მადლობელიც ვართ. მე პრობლემას ვერ ვხედავ ამ მხრივ, ეს ვალი არ არის.

-რას მიიჩნევთ გასული წლის მიღწევად, გარდა კოღოების შეწამვლის სამუშაოებისა?

ამ კითხვაზე პასუხის ნაცვლად ირაკლი კაკულიამ უცებ „გვიპასუხა" -დავამთავროთ რა ჩაწერა. მერე კი დაამატა - სანაპირო ზოლს.

R

საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა გრძელდება მიმდინარე წელს,ხუთი საზოგადოებრივი ცენტრის გახსნა იგეგმება

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობას აგრძელებს. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მრავალი პროექტიდან საზოგადოებრივი ცენტრების განვითარების პროექტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, რომლის მთავარი იდეა საჯარო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სოფლის გაძლიერებაა. იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ინიციატივით, საზოგადოებრივი ცენტრები შენდება მუნიციპალური ცენტრებიდან დაშორებულ სოფლებში; მრავალრიცხოვან, მჭიდროდ დასახლებულ, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე და საზღვრისპირა სოფლებსა თუ დაბებში.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 44 საზოგადოებრივი ცენტრი მოქმედებს. აქედან 17 ცენტრი 2016 წელს გაიხსნა.

საზოგადოებრივი ცენტრი მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობას 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სერვისით ისარგებლოს. სოფელში ცენტრის ფუნქციონირება ნიშნავს ადგილობრივი მოსახლეობისთვის სოფლიდან გაუსვლელად სახელმწიფო და კერძო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას. საზოგადოებრივი ცენტრის გახსნით სოფლიდან გაუსვლელად ხელმისაწვდომი გახდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და არქივის ყველა სერვისის მიღება. ასევე, ცენტრებში გაიცემა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სერვისები; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სერვისები (მაგალითად, სასკოლო ატესტატის მიღება); სოციალური მომსახურების სააგენტოს სერვისები. ცენტრებში განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა; შეხვედრების ოთახი, რომლის გამოყენებაც ადგილობრივ მოსახლეობას, სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს უფასოდ შეუძლიათ; სკაიპის ოთახი; სწრაფი გადახდის აპარატები და სხვა.

საქართველოს მასშტაბით მოქმედ საზოგადოებრივ ცენტრებში 250-მდე ადგილობრივი მოსახლეა დასაქმებული და 300 000-ზე მეტი სერვისია გაცემული ყველაზე მოთხოვნადი სერვისების ხუთეული:

სერვისების განვითარების სააგენტოს პროდუქტები: პირადობა/პასპორტი და სხვ. - 200 000-მდე;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული სერვისები - 50 000-ზე მეტი მომსახურება;

სოციალური მომსახურების სააგენტო - 40 000-მდე სერვისი;

ეროვნული არქივი - 20 000-მდე მომსახურება;

შპს მექანიზატორი - 2 000-ზე მეტი სერვისი.

საზოგადოებრივი ცენტრის გახსნით, სოფლებში არა მხოლოდ საჯარო სერვისები, არამედ „მაგთისა“ და „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებაც გახდა ხელმისაწვდომი, რაც პენსიონერებს პენსიის სოფლიდან გაუსვლელად მიღების, ახალგაზრდებს კი უფასოდ უკაბელო ინტერნეტით სარგებლობის საშუალება მიეცათ. ცენტრების გახსნამდე ბევრ ამ სოფელში არც ბანკისა და არც მობილური ოპერატორის ოფისები არ არსებობდა.

ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურები ამ სოფლებში პირველად ამოქმედდა და ადგილობრივ მოსახლეობას იმავე სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცა, რომლითაც დიდი ქალაქების მცხოვრებნი სარგებლობენ. დღეისათვის საქართველოს მასშტაბით საზოგადოებრივი ცენტრები ფუნქციონირებს შემდეგ სოფლებსა და დაბებში: შაშიანში,სართიჭალაში,გომში, რუისში, ჭალადიდში, ხევში, მანგლისში, კოდაში, ფოკაში, ნიგოითში, ჯვარში, შორაპანში, ყვარელწყალში, მუხაესტატეში, გეგუთში, მეჯვრისხევში, კაჭრეთში, ხიდისთავში, ნუკრიანში, კორბოულში, ღორეშაში, კაზრეთში, შილდაში, ორსანტიაში, ქვემო ნატანებში, კაბალში, ლენტეხში, ჩაქვში, ხრეითში, სადახლოში, რუხში, დიდ ჯიხაიშში,მარტყოფში,იორმუღანლოში,არხილოსკალოში,ტყვიავში,ვალეში,ბერძენაულში,უსახელოში,კიცხში, ბარალეთში, ლაჯანაში, კუმურდოსა და წალკაში.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება საქართველოში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინიციატივაა, რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. დეტალური ინფორმაცია საზოგადოებრივი ცენტრების შესახებ ხელმისაწვდომია ოფიციალურ ვებგვერდზე (centre.gov.ge).

SWEDEN

საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მფლობელი - ელიზბარ თურქია

25–26 თებერვალს თბილისის ძიუდოს აკადემიაში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი უმცროს ჭაბუკებში, სადაც საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ელიზბარ (ჯაბა) თურქიამ. სამწუხაროდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო 66 კგ წონით კატეგორიაში ბექა სანაიამ და II ადგილს დასჯერდა. აღსანიშნავია,რომ ამ ჩემპიონატზე გამარჯვებით თურქიამ დაიმკვიდრა ადგილი საქართველოს ნაკრებში და ასევე მოიპოვა ლიცენზია საერთაშორისო და ევროპის პირველობაზე მონაწილეობის მისაღებად. სპორტის სამსახური ულოცავს გამარჯვებას სპორტსმენს ,სკოლის მენეჯერს გრიგოლ გუგუშვილს და მწვრთნელებს; კონსტანტინე ხუბუტიას და ზური ძაძამიას.

,,ძიუდოს,, პირველობაზე ფოთელმა ელიზბარ თურქიამ ევროპის საგზური მოიპოვა

რამდენიმე დღის წინ, ზესტაფონში, ჭიდაობა „სამბოში'' ჭაბუკებს შორის, საქართველოს პირველობა ჩატარდა. აღნიშნული ჩემპიონატი ასევე იყო ევროპის პირველობაზე შესარჩევი ტურნირი. პირველობაზე წარმატებით იასპარეზეს ფოთის ჭიდაობის სასპორტო სკოლის მოჭიდავეებმა და საპრიზო ადგილები მოიპოვეს. მიღებული შედეგებით : I ადგილზე 48კგ წონით კატეგორიაში ელიზბარ თურქია გავიდა, II ადგილები 48 კგ წონით კატეგორიაში ირაკლი შეყილაძემ, 60 კგ წონით კატეგორიაში ანდრო არზიანმა და 70კგ.წონით კატეგორიაში ოთარ ოჩიგავამ აიღეს, ხოლო III ადგილის მფლობელი 56კგ. წონით კატეგორიაში გიორგი ნიკურაძე გახდა.

აღსანიშნავია,რომ ჩემპიონატზე ელიზბარ თურქიამ ევროპის საგზური მოიპოვა,რომელიც გაიმართება ჩეხეთში (პრაღა) 2017 წლის 14-17 აპრილს. მწვრთნელი კონსტანტინე ხუბუტია.

წარმატებულ სპორტსმენებს ფოთის ხელისუფლებამ შეხვედრა მოუწყო

ფოთის მერი ირაკლი კაკულია და საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურია წარმატებულ სპორტსმენებს შეხვდნენ და მიღწეული გამარჯვება მიულოცეს. წარმატებული ფოთელი სპორტსმენები გახლავთ:

საქართველოს ჩემპიონატზე საპრიზო ადგილებზე გასულ მოკრივეებს: ბადრი ხუციშვილს (64კგ) - I ადგილი, გიორგი კაჭარავას (81კგ) - II ადგილი, ჯანო ჯანაშიას (91კგ) - III ადგილი, დავით ნარსიას (75კგ) - III ადგილი.

საქართველოს ჩემპიონატში. მონაწილე ფოთის ნანა ალექსანდრიას სახელობის საჭადრაკო სკოლის მოჭადრაკეებს: 13 წლის გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონის ტიტულისა და მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მფლობელს (რუმინეთი- 21-30 აპრილი) ელენე წოწონავას, 13 წლის ჭაბუკთა შორის საქართველოს ვიცე-ჩემპიონს აკაკი ყალიჩავას. 13 წლის გოგონათა შორის ბრინჯაოს მედლის მფლობელს დიანა ლომაიას, ბრინჯაოს მედლის მფლობელს 11 წლის თეიმურაზ კვიკვინიას.
ჭიდაობა სამბოში საქართველოს ჩემპიონატში საპრიზო ადგილის მფლობელ მოჭიდავეებს ოთარ ოჩიგავას (სამბო) და დავით დგებიას (ძიუდო).

ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

17-19 თებერვალს თბილისში, „ბერძნულ-რომაულ'' ჭიდაობაში ჭაბუკებს შორის, მაისურაძის სახელობის ტურნირი ჩატარდა, სადაც ფოთელმა მოჭიდავეებმა საპრიზო ადგილები მოიპოვეს. ტურნირის შედეგი ასეთია: II ადგილზე 58 კგ. წონით კატეგორიაში გია კუჭავა გავიდა, ხოლო III ადგილის მფლობელი 69 კგ.წონით კატეგორიაში გოგა ხარაიშვილი გახდა.

ძალისმიერ სამჭიდში ფოთელებმა წარმატებით იასპარეზეს

18-19 თებერვალს თბილისში ძალისმიერ სამჭიდში საქართველოს ღია ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც მონაწილეობა მიიღო ფოთელმა სპორტსმენებმა ირაკლი ჭანტურიამ და ლევან გორგოძემ, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს და დაიკავეს პირველი ადგილები.

საქართველოს ჩემპიონატი კრივში

15 -19 თებერვალს მარნეულში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის, სადაც მონაწილეობას ღებულობდა კრივის სასპორტო სკოლის 3 მოკრივე: ბადრი ხუციშვილი, გიორგი კაჭარავა და ჯანო ჯანაშია, გუნდის წარმომადგენელი - რუბენ ქიქავა. მწვრთნელები გოჩა რუსია, სოზარ კულუა და მსაჯი - დავით დავითიანი.

ჩემპიონატზე მიღებული შედეგები ასე გამოიყურება: I ადგილის მფლობელი 64 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბადრი ხუციშვილი გახდა, II ადგილზე გიორგი კაჭარავა (81კგ) გავიდა, ხოლო III ადგილი ჯანო ჯანაშიამ (91კგ) აიღო.

ჩემპიონატზე ასევე ასპარეზობდნენ ფოთში არსებული მეორე კრივის სკოლის მოკრივეებიც, მიღებული შედეგით III ადგილის მფლობელი დავით ნარსია (75კგ.) გახდა. მწვრთნელი ლაშა ოჩიგავა..

სამეგრელოს რეგიონის ჩემპიონატი ჭადრაკში

16-19 თებერვალს ზუგდიდში ჩატარდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჩემპიონატი 8, 10, 12, 14, 16 და 18 წლის ჭაბუკთა და გოგონათა შორის. ფოთის საჭადრაკო სკოლის მოსწავლეებმა მოიპოვეს 5 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი.

I ადგილი:
ანი ჭანტურია (18 წლის გოგონათა შორის),
ელენე წოწონავა (14 წლის გოგონათა შორის),
თეიმურაზ კვიკვინია (12 წლის ჭაბუკთა შორის),
კახაბერ კიზირია (10 წლის ჭაბუკთა შორის),
ბარბარე კულუა (8 წლის გოგონათა შორის).

II ადგილი:
დიანა ლომაია (14 წლის გოგონათა შორის),
ანა სანიკიძე (10 წლის გოგონათა შორის),
ალექსანდრე გარუჩავა (8 წლის ჭაბუკთა შორის),
ლიზი სარიშვილი (8 წლის გოგონათა შორის).

III ადგილი:
აკაკი ყალიჩავა (14 წლის ჭაბუკთა შორის),
ლიზი ფოჩხუა (12 წლის გოგონათა შორის).

ფოთელი რაგბისტების წარმატება

11 თებერვალს ფოთის რაგბის სტადიონ ,,პარკი-არენა“-ზე ჩატარდა II ლიგის კალენდარული მატჩი ფოთის გუნდ ,,კოლხი რაინდები“-სა და ქობულეთის გუნდ ,,პონტო“-ს შორის. მატჩი დამთავრდა ,,კოლხი რაინდები“-ს 59:14 გამარჯვებით დასრულდა.

ლაშა გვალიას მონატრება

5 მარტს ერთი ტკივილიანი წელი სრულდება შენი წასვლიდან. რა ულმობელი და მკაცრია წუთისოფელი.ერთი წელია მიწა ფარავს შენს ლამაზ თვალებს. ნაადრევად წახველი ამ ქვეყნიდან. ავტოავარიამ გიმსხვერპლა. გვენატრება შენი სახე, შენი ხმა.

მონატრების სევდა და ტკივილი არ ასვენებს შინ დარჩენილებს. განსაკუთრებით მწარეა დედის მოლოდინი. ის კარებს გასცქერის, მაგრამ არავინ ჩანს. უბედური დედისთვის ყოველი დღე შენი ტკივილიანი გახსენებით იწყება. შენ დედის დიდი იმედი და ნუგეში იყავი. შენ ხომ დიდი სიხალისიმაგრე იყავი მეუღლისთვის.

საშინელებაა, როდესაც უფალი გართმევს საყვარელი ადამიანის სიცოცხლეს. ნეტავი შეგახედა შენს შვილებზე როგორ გიხსენებენ. ხშირად დადიან სასაფლაოზე სოფოსთან ერთად. გინთებენ სანთლებს და მიაქვთ ახალი ყვავილები.

შენს ხსოვნას ჩრდილი არასოდეს გაეკარება. შენი სიცოცხლე შენს შვილებში გაგრძელდება.

5 მარტს, ჩვენთვის მეტად ტკივილიან დღეს, შენს საფლავზე ყველა შენი საყვარელი ადამიანი მოვა და პატივს მიაგებენ შენს ხსოვნას. ცრემლიანი თვალებით შეთხოვენ უფალს- ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

გვეამაყება, როდესაც შენი მეგობრები, კეთილი ადამიანები საუბრობენ შენზე. ღმერთმა ყველა დალოცოს და ამქვეყნიური ბედნიერება მიენიჭოს მათ.

მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

დეიდა ვარო კოფიანიდი

გაზაფხული უშენოდ..

გაზაფხული დადგა, თბილი და მზიანი. მალე გაიშლებიან შენი საყვარელი ყვავილები, მანანა, გაგილამაზებენ საფლავს, საამო სურნელს მიმოაფრქვევენ ირგვლივ. ვაი რომ, შენ ვეღარ ხედავ ამ სილამაზეს, ვეღარ ტკბები გაზაფხულის სურნელით, რაც უსაზღვროდ გიყვარდა, მოუთმენლად ელოდი გაზაფხულის დღესასწაულებს, შენი უსაყვარლესი შვილი დედის დღეს გილოცავდა და მოგართმევდა შენს საყვარელ ყვავილებს, როგორი ამაყი დედა იყავი, როგორი გახარებული. წლევანდელი დედის დღე უშენოდ ჩაივლის ჩვენთვის. მხოლოდ საფლავს გაგილამაზებთ იებითა და ყოჩივარდებით.

როგორ აკლიხარ ყველას, მანანა, როგორ მოგვენატრე, ცრემლი ვერ გავიშრეთ ჯერაც, შენი ნაადრევი დაკარგვით თავს დატეხილი აუტანელი ტკივილი და მწუხარება არ გვინელდება. კვლავ ცხარე ცრემლით დაგტირით. შენი დარიგება, შენი გვერდით დგომა გვაკლია. გაზაფხულივით ლამაზი და ხალისიანი იყავი თავადაც, ყველას უნანილებდი სითბოს და სიყვარულს, უშურველად გასცემდი სიკეთეს, ყველა გიყვარდა, ყველას ეფერებოდი.

მხოლოდ მოგონებებით ვცხოვრობთ, ვლოცულობთ შენი ლამაზი სულისთვის.

შენი ოჯახი

იყიდება

ფოთში იყიდება 62 კვმ ფართი, რომელიც გამოდგება როგორც საოფისედ, ისე საცხოვრებელ ბინად, წმინდა ნინოს 32
ტელ: 595 75 98 58 ნინო

ფოთში იყიდება ერთოთახიანი საცხოვრებელი ბინა ჯიქიას №9, 3-ე სართულზე, მოშენების პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 568 42 14 57 ჯემალი, 579 70 65 34 ანა

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს

სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19
ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე

იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)-37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში *თქვენი პრობლემების კვალდაკვალ*

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.